ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №1/10-40

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 4 ოქტომბერი, 2016წ.

ერთის მხრივ, შპს "სამთომაშველი" (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ ვადაჭკორიას სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ ვაჟა ახალმოსულიშვილი (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია (CPV 50100000) შპს "სამთომაშველის" სახსრებით ა/მანქანის გადაკეთების მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერაა – ა/მანქანა "ლენდ როუვერ ფრილენდერის" (სახ. ნომ. BEB565) მოტორის შეცვლა "ოპელ ვექტრას" ძრავით (ძრავის მოცულობა 2.00) და ამასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება, კერძოდ:

- ლენდ როუვერის ძრავის, სიჩქარის კოლოფის, ელექტროობის, მაყუჩისა და სხვა დემონტაჟი;
- ოპელის ძრავაზე ლენდ როუვერის სიჩქარის კოლოფის მორგება და ცენტრირება;
- ოპელის ძრავის დამაგრება ლენდ როუვერის ძარაზე (სამაგრები, შედუღებითი სამუშაოები);
- რაზდატკის საკისრის გამოცვლა;
- მოტორის მახავიკის მოხსნა, გაჩარხვა, დაყენება;
- ა/მანქანის ელექტრო გაყვანილობის გადაკეთება და მორგება;
- ჰაერის ფილტრის მორგება, დაყენება;
- ზეთის ფილტრის მორგება, დაყენება;
- ბენზინის ძველი ფილტრის მოხსნა, ახლის დაყენება;
- რაზვალის გასწორება;
- ა/მანქანის გამართვა ანტიფრიზით და მოტორის სიჩქარის კოლოფის, რაზდატკის ზეთებით;
- მაყუჩის გადაკეთება და მორგება;
- ელ.სანთლების გამოცვლა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესასრულებელი სამუშაოსთვის ხელზე ასაღები თანხა შეადგენს 2500.00 (ორი ათას ხუთასი) ლარს.

3. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

3.1 სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

4. სამუშაოს მიღება-ჩაბარება

4.1. შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია **შპს "სამთომაშველის" დირექტორი თენგიზ ვადაჭკორია.**

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება სამუშაოს დასრულების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის შემოწმება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.3. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ს ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05%-ს.

7.5. იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესამაბისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 2017 წლის 31 იანვრისა.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა პირობები

10.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხრეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები და მისამართები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "სამთომაშველი"	**ფ/პ ვაჟა ახალმოსულიშვილი**
მის: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ.№54	მის: ქ. თბილისი, ქინძმარაულის შეს. №19, ბ.35
სს "საქართველოს ბანკი"	ს/ნ 13001012518
ბანკის კოდი: BAGAGE22	ტელ: 555 435 496
ა/ა GE84BG0000000213502700	
ს/კ 206303917	
ტელ: 227-83-79	
(თ. ვადაჭკორია)	(ვ. ახალმოსულიშვილი)

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

20 დეკემბერი, 2016წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, შპს "სამთომაშველი" წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ ვადაჭკორიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ფ/პ ვაჟა ახალმოსულიშვილი (შემდგომში "მიმწოდებელი") ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის 2016 წლის 4 ოქტომბერს დადებული №1/10-40 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების (ა/მანქანა "ლენდ როუვერ ფრილენდერის" (სახ. ნომ. BEB565) მოტორის შეცვლა "ოპელ ვექტრას" ძრავით (ძრავის მოცულობა 2.00) და ამასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება, კერძოდ:

- ლენდ როუვერის ძრავის, სიჩქარის კოლოფის, ელექტროობის, მაყუჩისა და სხვა დემონტაჟი;
- ოპელის ძრავაზე ლენდ როუვერის სიჩქარის კოლოფის მორგება და ცენტრირება;
- ოპელის ძრავის დამაგრება ლენდ როუვერის ძარაზე (სამაგრები, შედუღებითი სამუშაოები);
- რაზდატკის საკისრის გამოცვლა;
- მოტორის მახავიკის მოხსნა, გაჩარხვა, დაყენება;
- ა/მანქანის ელექტრო გაყვანილობის გადაკეთება და მორგება;
- ჰაერის ფილტრის მორგება, დაყენება;
- ზეთის ფილტრის მორგება, დაყენება;
- ბენზინის ძველი ფილტრის მოხსნა, ახლის დაყენება;
- რაზვალის გასწორება;
- ა/მანქანის გამართვა ანტიფრიზით და მოტორის სიჩქარის კოლოფის რაზდატკის ზეთებით;
- მაყუჩის გადაკეთება და მორგება;
- ელ.სანთლების გამოცვლა)

შესყიდვა განხორციელებულია.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზია არ გაგვაჩნია.

"შემსყიდველი"

(თ. ვადაჭკორია)

"მიმწოდებელი"

(ვ. ახალმოსულიშვილი)